საქართველოს მთავრობის

დადგენილება №226

2025 წლის 19 ივნისი

ქ. თბილისი

„ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/04/2015, 470000000.10.003.018554) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ დანართ №15-ს („პაციენტთა სპეციფიკური ჯგუფები“) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. **ახლად გამოვლენილი HBV ინფექციით პაციენტები, რომელთაც ქრონიკული B ჰეპატიტის ფონზე უკვე აქვთ განვითარებული დეკომპენსირებული ციროზი:**

● ახლად გამოვლენილ HBV ინფექციით პაციენტებთან, რომელთაც ქრონიკული B ჰეპატიტის ფონზე უკვე აქვთ განვითარებული დეკომპენსირებული ციროზი და რომლებიც ვერ წარმოადგენენ მინიმუმ 6-თვიანი შუალედით ჩატარებული B ჰეპატიტის დიაგნოზის დამადასტურებელ დოკუმენტს და ექიმს მიმართეს უკვე ღვიძლის დეკომპენსაციის სტადიაზე, დაწყებული უნდა იქნეს ანტივირუსული მკურნალობა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**